პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 30 აპრილი, 1949 წ. № 86 (8389). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საბირველმაისო მოწოდებებიდან

ვემზადოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

ჩვენი გაზეთის გუშინდელ და დღეგანდელ ნომრებში დაიბეჭდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილება „1950 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებისა და მათი შერჩევის მაჩვენებლების შესახებ“.

მომავალი წლიდან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის განახლებას საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, უეჭველია, დიდი ქმაყოფილებით შეხვდებიან და ახალი შრომითი ალმავლობით უპასუხებენ.

ჩვენი დიადი ქვეყნის ათასობით კოლმეურნეობანი და სოფლის მეურნეობის მოწინავენი მონაწილეობას იღებდნენ 1939 და 1940 წლების სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. გამოფენაზე ისინი დიდ გამოცდილებას იძენდნენ. გამოფენა კოლმეურნე გლეხობისათვის მოწინავე აგრონომიული მეცნიერებისა და პრაქტიკის საუკეთესო სკოლა გახდა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში გასაგები მიზეზების გამო გამოფენის მუშაობა შეწყდა, ისევე როგორც დრუნები დაირეკა ჩვენი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა. მაგრამ ომში საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებისთანავე ჩვენი ხალხი კვლავ შეუდგა მშვიდობიან შრომას. ლენინ-სტალინის პარტიამ შეიმუშავა მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებში მოცემული სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამა, რომელსაც საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ.

დიდი სამამულო ომისშემდგომი მშენებლობის პერიოდში ერთხელ კიდევ გამოვლინდა საკოლმეურნეო წყობილების დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. საკოლმეურნეო წყობილებამ ჩვენს შრომიელ გლეხობას დაუმკვიდრა შეძლებული და კულტურული ცხოვრება. დიდი სტალინი გვასწავლა, რომ „...კოლექტივიზაციის მეთოდი უაღრესად პროგრესული მეთოდი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხების გაღატაკებას, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა მოგვეფინა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც საშუალება აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევანი და მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი სასაქონლო პროდუქცია“.

ომისშემდგომი წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებათა დემონსტრაცია მოხდება 1950 წლის გამოფენაზე. ამ გამოფენის თავისებურება ის არის, რომ აქ ფართოდ იქნება ნაჩვენები ის მეთოდები და ხერხები, რომელთა განხორციელებით მოპოვებული წარმატებანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილებით დაწესებულია მაჩვენებლები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეთა შესარჩევად საქართველოს სსრ მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგიდან.

ამოცანა ახლა ის არის, რომ გავაძლიეროთ მზადება გამოფენისათვის, ახალი წარმატებებით წარედგეთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ამოცანა ის არის, რომ მოვიმოგოთ გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რაც საგამოფენო კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ იმ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ ორი წლის — 1948 და 1949 წლების განმავლობაში კულტურების მოსავლის აღებასა ან მეცხოველეობის პროდუქტიულობაში, ან მანქანათა ნაყოფიერებაში მოიპოვეს ის მაჩვენებლები, რაც ამ დადგენილებით დაწესებულია რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის მათი ზონალური თავისებურებისა და ნათესი ფართობების ოდენობის გათვალისწინებით;

რომლებმაც 1948-1949 წლებში მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებანი პროდუქციის ჩაბარების დარგში;

რომლებმაც შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1948 და 1949 წლების სახელმწიფო გეგმა პროდუქტიული და მუშა საქონლის სულადობის დარგში;

რომლებმაც მთლიანად უზრუნველყვეს თესვა საკუთარი თესლით 1949 და 1950 წლებში;

რომლებმაც 1949 წელს შეასრულეს აგროსამელიორაციო სამუშაოთა გეგმა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ სოციალისტური სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეებს, რომლებმაც საშუალოდ ორი — 1948 და 1949 წლების განმავლობაში მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის საგამოფენო კომიტეტის მიერ დაწესებული მაჩვენებლები.

გამოფენაში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ სასოფლო რაიონებსაც, რომელნიც დაწესებულ მაჩვენებლებს მოიპოვებენ.

მომდინარე წელი გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვების გადამწყვეტი წელიწადია. ამიტომაც წელს უხვი მოსავლის მოყვანა, მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის წარმატებით გადაჭრა გადაწყვეტს გამოფენაში მონაწილეობის საკითხს.

გამოფენის მონაწილეებისა და მათი შერჩევის ჩვენი რესპუბლიკისათვის დაწესებული მაჩვენებლები საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ სოფლის თვითეულ მშრომელს. ეს დიდ როლს შეასრულებს სოფლად სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი ამაღლებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების საქმეში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „შეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი“. პარტიული ორგანიზაციები სთავევში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას და ყოველდღიურად უხელმძღვანელონ შეჯიბრებას. საჭიროა თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა, მეცხოველეობის ფერმამ, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა ურთიერთშორის მოაწყონ შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. სოფლის კომუნისტების, კომკავშირელების, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მოვალეობაა ყოველმხრივ შეიწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას, დარაზმონ მასები გამოფენის კომიტეტის მიერ დაწესებული მაჩვენებლების წარმატებით შესასრულებლად.

„კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მიაღწიეთ უხვი მოსავლის მიღებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ ნათეს ფართობზე! ფართოდ დანერგეთ პრაქტიკაში მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები! ამრავლეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა, ორდენოსანთა და სოციალისტური შრომის გმირთა რიგები!“.

ასე მოგვწოდებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ამ მოწოდებას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დაუღალავი შრომით უპასუხებენ, მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას და ბოლშევიკურად მოეზადებიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეულად შეხვედრისათვის, პროდუქტების სიუხვის შექმნით დაიჩქარებენ ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სოხუმი. (საკ. კორ.). 27-28 აპრილს შედგა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ტუსკაძემ.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. აფხაზეთის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი ს. მათითაშვილი.

— აფხაზეთის მშრომელებმა, — განაცხადა მომხსენებელმა, — წარმატებით დაამთავრეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე წელი. აფხაზეთის მრეწველობამ წლიური გეგმა 106,7 პროცენტით შეასრულა. დიდი მიღწევები მოიპოვეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ამ მიმართულებით გეგმები გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

სულ უფრო იზრდება და მტკიცდება აფხაზეთის ასსრ ეკონომიკა. აფხაზეთის ასსრ 1949 წლის ბიუჯეტის შემოსავალი დადგენილია 148.018.000 მანეთის ოდენობით, რაც 1948 წლის ბიუჯეტთან შედარებით 5.389.000 მანეთით მეტია.

ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მოხმარდება სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ქალაქების, რაიონების, კურორტების კეთილმოწყობის საქმეს და სხვ.

სესიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ივარდავის თანამოხსენება.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ნ. გელავა, ი. ლომია, ლ. კერსუა, ჯ. ჩიგოვაძე, ნ. კვარაცხელია, ვ. ხარაზია, გ. ბერულავა, გ. პაპასკუა, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ი. გაბისონია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ზარანდია და სხვ.

მოხსენებათა გამო კამათში გამოსულებმა ერთსულოვნად მოიწონეს ბიუჯეტის პროექტი და გააკრიტიკეს მთელი რიგი ორგანიზაციებისა და სამინისტროების საწარმოთა სუსტი მუშაობა. მაგალითად, გაკრიტიკებულ იქნენ აფხაზკოოპკავშირის, საჩკვების ტრესტის ხელმძღვანელობა და აფხაზეთის ასსრ ეკონომიკურ სამინისტრო იმისათვის, რომ მათს ხელმძღვანელობაში მყოფი საწარმოები ვერ ასრულებენ ბრუნვის გადასახადის გეგმებს, ჩაწოლილი აქვთ მილიონობით მანეთის საქონელი, რომლის მეტი წილი დამზადებულია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მიერ.

28 აპრილის საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა მომხსენებლის დეპუტატ ს. მათითაშვილის სამლოცო სიტყვა და ერთხმად დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სპეციალური კომისიის მიერ მასში შეტანილი ცვლილებებით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი მ. ხაშბა. სესიამ დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებები აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ი. ზარანდიას, აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად ამხ. ი. ტანიას, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად ამხ. ა. ქურდიანის დანიშვნის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ“.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩია დეპუტატები ი. ლომია და ჭ. ჩიკაშვილი, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ—დეპუტატი ი. კაკალია.

ამით სესიამ დაამთავრა მუშაობა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ბათუმი. (საკ. კორ.). 27 აპრილს გაიხსნა აჭარის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. ი. ნიჟარაძე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია ორი საკითხი:

1. აჭარის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და აჭარის ასსრ 1948 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; 2. აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატ კ. დოლიძის წინადადებით უმაღლეს საბჭოს ეს საკითხები შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

აჭარის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და აჭარის ასსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი მ. ლომთათიძე.

აღინიშნა რა საანგარიშო წელს საბჭოთა სახელმწიფოს საბრძოლო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა აჭარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, საქონელბრუნვის საგრძნობი გადიდების, ფულის მიმოქცევის განმტკიცების, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების და დაგროვების ზრდის საკითხებზე.

მომხსენებელმა მოიყვანა ავრეთვე ცნობები 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. გასული წლის ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 105.951.200 მანეთის, ხოლო გასავლის ნაწილში 105.448.100 მანეთის რაოდენობით, ესე იგი შემოსავალი გასავალს აჭარბებს 503.100 მანეთით.

— აჭარის ასს რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტი, — ამბობს მომხსენებელი, — როგორც შემოსავალში, ისე გასავალში გათვალისწინებულია 112 მილიონ 12 ათასი მანეთის ოდენობით. ეს ნიშნავს, რომ მომდინარე წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტის შესრულებასთან შედარებით იზრდება 6,2 პროცენტით. აჭარის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით აჭარის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად, ხელს შეუწყობს საბჭოთა აჭარის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

გათვალისწინებული ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი — 90.420.800 მანეთი, ე. ი. მთელი ბიუჯეტის 80,7 პროცენტი დაიხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. აღნიშნული თანხა 7,8 მილიონით მეტია, ვიდრე ფაქტიურად დაიხარჯა ამ ღონისძიებებზე 1948 წელს.

მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სახინო-კომუნალური მეურნეობის, საგზაო მშენებლობის, ეკპრობის გაფართოების, კურორტების კეთილმოწყობისათვის.

დეპუტატ მ. ლომთათიძის მოხსენების შემდეგ სახიუჯეტო კომისიის თანამოსაუბრეთ გამოვიდა დეპუტატი პ. ღვალაძე.

ამით დამთავრდა სესიის პირველი სხდომა.

სესიის მეორე სხდომაზე 28 აპრილს დაიწყო კამათი ღღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა ო. ბერიძემ, აჭარის ასსრ ეკპრობის მინისტრმა მ. ეკიზაშვილმა, დეპუტატებმა ქ. მეგრელიძემ, მ. ნაკაიძემ, ბ. ხალვაშმა, დეპუტატებმა ი. დვალიშვილმა, ნ. ნიჟარაძემ, გ. გოგიაშ, ს. ჩაგელიშვილმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. გოგოლაშვილმა და სხვ.

კამათში გამოსულებმა ერთსულოვნად მოიწონეს სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი აჭარის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მომხსენებლისა და თანამომხსენებლის სამლოცო სიტყვების შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა აჭარის ასსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სესიათა შორის მიღებული ბრძანებულებანი.

ამით დაამთავრა მუშაობა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

ГАРДЗАМАВАЛИ ДРОША ТБИЛИСИС САЕЛМАВЛО ДЕПОС КОЛЕГЕБИВЗ

თბილისის საელმაველო დეპოში მიიღეს სსრ კავშირის გზათა მინისტრის ამხ. ბ. ბეშჩეკის ბეკეშა, რომელშიც ნათქვამია: 1949 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით პროფესიული კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და გზათა სამინისტრომ თქვენი კოლექტივი აღიარეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და გადაწყვიტეს თქვენთვის პროფესიული კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშის გადმოცემა.

გზათა სამინისტრო გილოცავთ ამ გამარჯვებას და მოგიწოდებთ, მთელი ძალები მიმართთოთ ახალი გრაფიკის მიხედვით სანიმუშო მუშაობის უზრუნველყოფისაკენ, უფრო მეტად გაძლიერით სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲐᲯᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

27 აპრილს თბილისის საავიაციო ტექნიკუმის კლუბში შედგა დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებისა და უმაღლეს სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა შეკრება. შეკრებას დაესწრნენ ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, მეცნიერი მუშაკები, ინჟინერი-კონსტრუქტორები, მრეწველობის ყველა პროფესიის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის იყვნენ ამხანაგები გ. ზამბახიძე, ე. ჩერქეზია, თ. ქელეიძე, ა. ჯიშიაშვილი, გ. ჯავახიშვილი, მ. ბალავაძე, ნ. გაბუნია, ბ. სარიშვილი, ბ. ლელანი, ვ. ბარბაქაძე, ნ. ყვანია, ი. ჩოჩია, ნ. სტურუა, ა. გიორგაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. აგლაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. თვალჭრელიძე, ა. დიდებულიძე, კ. ზავრიევი, პროფესორი ვ. კაკაბაძე, ი. ხვედელიანი, ნ. თუშიშვილი, ა. მელაძე, კ. ილურიძე, ვ. კორძაძე, ლ. ასათიანი და სხვები.

შეკრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზამბახიძემ, რომელმაც მოუწოდა მეცნიერებისა და საწარმოების მუშაკებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, გაერთიანებული ძალებით მომზადებულ საკითხთა გადაჭრისაკენ. ამხ. ზამბახიძემ მოუწოდა მეცნიერების მუშაკებს განაგრძონ და შემდგომ განავითარონ ის დამბარება, რომელსაც ისინი უწევენ თბილისის საწარმოთა კოლექტივებს ლითონის სწრაფი ჭოის ახალი მეთოდის დანერგვაში, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაში, საწარმოო ციკლის შემცირებასა და საერთოდ წარმოების მთელი რიგი „ვიწრო ადგილების“ გადალახვაში.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს და მეცნიერებისა და საწარმოთა მუშაკების შემოქმედებითი თანამეგობრობის განსამტკიცებლად მიღებული ღონისძიებების, აგრეთვე მეცნიერ მუშაკთა მხრივ საწარმოთა კოლექტივებისათვის გაწეული დახმარების შესახებ ილაპარაკეს ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა მ. კობახიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა და შენინგენელ ინჟინერთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარემ კ. ზავრიევმა, მუშადელმა ვ. კორძაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა რ. აგლაძემ, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორმა გ. ციციშვილმა, ხარატმა პ. ზუბრიეცკიმ, აბრეშუმაქაოსი ფაბრიკის თთავრმა ნ. ქინერმა ვ. ჩიქოვანმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ლ. კასიანმა, ლენინელმა მემანქანემ ნ. ყიფიანმა, ტრესტ თბილმშენის მმართველმა კ. მორეტმა, სტანანოველმა ხარატმა ა. ვოროსკოლეკსკიმ, ციროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ა. მელაძემ და პროფესორმა გ. გედევანიშვილმა.

შეკრებამ დასახა ღონისძიებები, რაც უმოკლეს დროში უნდა განახორციელონ მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკებმა ურთიერთშორის შემოქმედებითი თანამშრომლობის განსამტკიცებლად, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე და წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

შეკრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ი. ბ. სტალინს. მისალმება გაუგზავნა აგრეთვე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

* * *

რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს და რა შესანიშნავ შედეგს იძლევა მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა მჭიდრო კავშირი საწარმოს ცხოვრებასთან, ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენდა ამ შეკრებაზე გამოსულ მთელ რიგ ორატორთა მიერ მოყვანილი ცნობები.

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა მ. კობახიძემ აღნიშნა, თუ რა შედეგი გამოიღო ამ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივისათვის გაწეულმა დახმარებამ. ქარხანაში დიდ დაბრკოლებას განიცდიდნენ ერთ-ერთი საორთქლმავლო დეტალის დამზადებაში. ინსტიტუტმა იქ გაგზავნა მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა, რომელმაც შეისწავლა ამ დეტალის წარმოების საქმე, შეიტანა ცვლილებები და მთელი რიგი გაუმჯობესებანი მისი დამუშავების ტექნოლოგიაში და შეუდგა ლითონის სწრაფი ჭრის მეთოდის დანერგვას. ამ დახმარებამ დიდი გავლენა იქონია მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე: თუ ნორმით ერთ მუშას ცვლაში უნდა მიეცა 3 ცალი დეტალი, ახლა გვაძლევს 7 ცალს.

ამავე ქარხანაში, ხოლო ამჟამად თბილისის მთელ რიგ სხვა საწარმოებშიც ინერგება ინსტიტუტის თბოტექნიკური ბრიგადის მიერ საორთქლ ქვაბების მუშაობაში შეტანილი გაუმჯობესება, რაც საწარმოებს მისცემს როგორც საწვავის, ისე თანხების მნიშვნელოვან ეკონომიას.

ინსტიტუტში დამუშავებული და ცდებით შემოწმებულია აგრეთვე ხიდების მშენებლობაში ეგრეთ წოდებული შემსუბუქებული ბეტონის გამოყენების საკითხი. ეს სამშენებლო ტექნიკაში შეტანილი ისეთი სიახლეა, რომელიც მრავალ მილიონ მანეთს დაუზოგავს ჩვენს სახალხო მეურნეობას. შემსუბუქებული ბეტონით ახლა საქართველოში უკვე შენდება საკმაოდ დიდი სარკინიგზო ხიდი.

ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ამუშავებენ მთელ რიგ სხვა საკითხებს, რომელთა შორის მეტალურგიული წიდის გამოყენების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. რუსთავის მეტალურგიული გიგანტის ამუშავების შემდეგ იქ დიდძალი წიდა დაგროვდება. ჩვენმა ტექნიკოსებმა გამონახეს ამ მასალის უფრო ეფექტურად გამოყენების გზა. მათ წიდისაგან გააკეთეს შენობის სახურავი, რომელიც ყოველგვარ სახურავზე უკეთესია.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ვ. კორძაძემ მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, განსაკუთრებით ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მუშაკთა წინაშე. მან აღნიშნა, რომ ორგორც პრაქტიკოსმა მუშამ იცის, დეტალს რაც უფრო გაახერეს, მით უფრო ადვილია მისი გამოქედვა, მაგრამ არ იცის, რა ტემპერატურის დროს სჯობს, რომ მჭედელმა დეტალი ღუმელიდან გრდემლზე გადმოიღოს. უწინ, მაგალითად, იგი მუხლა ღერძის გამოქედვას, ისევე როგორც ყველა სხვა მჭედელი, სამგზისი გახურების შემდეგ ახდენდა. პირველი გახურებისას ღერძს ერთ ადგილას მოღუნავდა, ამაოსობაში დეტალი გაცივდებოდა, შემდეგ ხელახლა გახურებდა და ამრიგად სამჯერ გახურების შედეგად მას დიდი დრო ეხარჯებოდა. ახლა იგი ერთი გახურებით ახერხებს სამი ოპერაციის შესრულებას და, როგორც დაკვირვებამ დაარწმუნა, დეტალი უფრო გამძლე და მაღალი ხარისხისა გამოდის. მას და სხვა მუშებსაც აინტერესებთ, რა გავლენას ახდენს სახლოოდ გამზადებული დეტალის ხარისხზე ჩრაკაგზისი გახურება, როგორ უფრო უკეთესია ვიმემქმედოთ ამა თუ იმ დეტალის გამოქედვისას, ალიან ღუმელში სჯობს სადეტალე ლითონის გახურება თუ უალო ღუმელში და სხვ.

ვ. კორძაძემ დააყენა აგრეთვე საკითხი, რომ მოეწყოს პროფესიათა მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სტახანოველთა შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

დიდი ინტერესით მოისმინეს შეკრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის რ. აგლაძის სიტყვა. მან განმარტა, თუ რაში გამოიხატა ჯვარჯვეროვნით ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარება მრეწველობის მუშაკებისადმი, და აღნიშნა, რომ ინსტიტუტში დამუშავებულია მანქანათმშენებლობაში ლეგირებული თუჯის გამოყენების, შახტებში ვენტილაციის გაუმჯობესების, ბიგების ნაცვლად პროფესორ გ. წულუკიძის მოძრავი ჩარჩოების გამოყენების საკითხები და სხვ.

რ. აგლაძემ აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა უმაღლესსა სასწავლებლებმა ხშირად მოიწვინონ მათთან კურსდამთავრებულ სპეციალისტთა თათბირები, გაეცნონ მათს საქმიანობას და გაუწიონ დახმარება პრაქტიკულ მითითებათა მიცემით. შემოღებულ უნდა იქნას სამრეწველო საწარმოებში სამეცნიერო დაწესებულებათა კორესპონდენტების შერჩევა, რაც საწარმოსთან დაახლოებას ერთ-ერთი ქმედითი ფორმა იქნება. უნდა მოეწყოს მეცნიერ მუშაკთა ექსკურსიები საწარმოებში და მრეწველობის მუშაკთა ექსკურსიები სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტისა*

1950 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებისა და მათი შერჩევის მაჩვენებლების შესახებ

III. მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად მეცხოველეობაში

2. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმები

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობის, მეცხვარეობის, მეთხეობის, აგრეთვე მეფრინველეობის ფერმებს, რომლებმაც:

ა) საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მოიპოვეს პროდუქტიულობის მაჩვენებლები არაუმცირეს ამ დადგენილებით დაწესებული მაჩვენებლებისა;

ბ) შეასრულეს საშუალოდ 1948 და 1949 წლების მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მოაწყეს პირუტყვის სწორი მოვლა და კვება და მიაღწიეს პირუტყვის უხვში და წვნიანი საკვებით (სილოსი, ძირხვენები, კარტოფილი) უზრუნველყოფის არანაკლებ იმ ოდენობის 100 პროცენტისა, რაც დაწესებულია ფერმის წლიური მოთხოვნილების გეგმით.

3. სახელმწიფო ჯიშსაშენები (გარდა ცხენსაშენებისა) და სანაშენო საბჭოთა მეურნეობები

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ პირუტყვის სახელმწიფო ჯიშსაშენებს, რომლებმაც იმ სანაშენო ფერმებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ:

ა) საშუალოდ 1948 და 1949 წლებში უზრუნველყვეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და მატყლის ჩაბარების გეგმების შესრულება;

ბ) შეასრულეს საშუალოდ ორ წელიწადში სანაშენო კლასის მოზარდეულის გამოზრდისა და გაყიდვის გეგმა და მოამზადეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის კანდიდატებად სულ ცოტა 30 პროცენტი მეცხოველეობის სანაშენო ფერმებისა, რომლებიც შედიან სახელმწიფო ჯიშსაშენის სამოქმედო ზონაში.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მეცხვარეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობებსა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენო საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენო საბჭოთა მეურნეობებში 1948 და 1949 წლებში კოლმეურნეობებისათვის სანაშენო მოზარდეულის მიყიდვის დაწესებული გეგმები შეასრულეს არაუმცირეს 75 პროცენტისა ელიტა, რჩეული და პირველი კლასის ცხოველებით და, გარდა ამისა, მთლიანად საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მიაღწიეს ფერმებისათვის ამ დადგენილებით დაწესებული მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებას: მატყლის ნაპრასის ან წველადობისა სულ ცოტა 20 პროცენტით და ბატკნის გამოსავლიანობისა სულ ცოტა 5 პროცენტით, ამასთან შეასრულეს პირუტყვის სულადობის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო გეგმა.

4. მეცხვარეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ:

კოლმეურნეობებს, ცხენსაშენებსა და მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეობის ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში შეასრულეს მეცხვარეობის სახელმწიფო გეგმა და წლის დამდეგს არსებულ თვითეულ 100 სანაშენო ცხენზე გამოზარდეს კვიცი სულ ცოტა:

როცა სანაშენო ცხენების სულადობა არის სულ ცოტა	კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხენეობის ფერმებში	საჯიშე ცხენ-საშენებში	ჯოგურ ცხენსაშენებში
	ა) საჯინიბოში მოვლისას		
10—40	80	—	—
40 და მეტი	76	80	—
50 და მეტი	—	80	—
75 და მეტი	—	76	—
100 და მეტი	—	72	—
	ბ) ჯოგურ პირობებში შენახვისას		
50—100	80	—	—
100 და მეტი	76	—	—
150 და მეტი	—	80	—
200 და მეტი	—	76	—
250 და მეტი	—	72	—
500 და მეტი	—	78	—
600 და მეტი	—	74	—
1000 და მეტი	—	72	—

სახელმწიფო ცხენსაშენ საჯინიბოებს, რომლებმაც: 1948 და 1949 წლებში შეასრულეს დაგრილების კამპანიის გეგმა და უზრუნველყვეს სახელმწიფო ცხენსაშენ საჯინიბოების ულაყთა დაგრილებულ ფაშატების დამაკვნა ხელზე დაგრილებისას და ხელოვნური დათესლვისას არანაკლებ 80 პროცენტით და ჯოგური დაგრილებისას — არანაკლებ 85 პროცენტით.

5. მევიძეობა და მეჯოგეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ:

ა) სულ ცოტა 5 ფაშატი და 1948 და 1949 წლებში გამოზარდეს 60 ჯორი ყოველ ას ფაშატზე;

ბ) სულ ცოტა ათი ფაშატი ვირისა და 1948 და 1949 წლებში გამოზარდეს სულ ცოტა 70 ჩოჩორი ას ფაშატზე.

6. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს, რომელთაც ჰყავთ სულ ცოტა 15 ძროხა საკოლმეურნეო ფერმაში და 40 ძროხა საბჭოთა მეურნეობის ფერმაში და საშუალოდ 1948 და 1949 წლებში თითო საფურაე ძროხაზე მიიღეს შემდეგი საშუალო წლიური ნაწველი (კილოგრამობით):

საბჭოთა მეურნეობებში — 1.800 კილოგრამი,

კოლმეურნეობებში — 1.500 კილოგრამი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში გამოზარდეს ხბოები წლის დამდეგისათვის არსებული ძროხებისა და დეკეულების სულ ცოტა 95 პროცენტის რაოდენობით და ექვსი თვის ასაკისათვის მიიღეს სულ ცოტა 20 ხბოზე საშუალო სადღეღამისო მატება ჯიშების მიხედვით გრამობით არანაკლებ:

სიმენტალისა და მისი მეტისებისა — 700 გრამი

შეიცისა და მისი მეტისებისა — 650 გრამი

ველის წითელი ჯიშისა და მისი მეტისებისა—600 გრამი

კავკასიური და სხვა ადგილობრივი ჯიშებისა—550 გრამი.

7. მეცხვარეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეობის ფერმებს, რომლებსაც წლის დამდეგს ჰყავდათ სულ ცოტა 100 დედაცხვარი და საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მიიღეს:

პრეკოსის ჯიშის ცხვრების და მათი მეტისებისა, მქისემატყლიანი ცხვრებისა და სხვა ნაზმატყლიანი ჯიშის ყოჩების მეტისების მატყლის საშუალო ნაპარსი სულ ცოტა 2,8 კილოგრამი და წლის დამდეგისათვის არსებულ ყოველ 100 განერბილი დედაცხვარსა და შიმაქუს შეინარჩენეს ასხლეტამდე სულ ცოტა 110 ბატკანი.

ერთწლიანი მოზარდი პრეკოსის ჯიშის ცხვრებისა და მათი მეტისების მქისემატყლიანი ცხვრებისა და სხვა ნაზმატყლიანი ჯიშის ყოჩების მეტისების მატყლის საშუალო ნაპარსი სულ ცოტა 2,6 კილოგრამი.

ნახევრადმქისემატყლიანი ჯიშის ცხვრებისა და მათი მეტისებისაგან, თუ ფერმას წლის დამდეგს ჰყავდა სულ ცოტა 100 დედაცხვარი:

მატყლის საშუალო ნაპარსი ნახევრადმქისმატყლიანი ჯიშების დედაცხვრებისა და მათი მეტისებისაგან არანაკლები 3 კილოგრამი, ამასთან წლის დამდეგისათვის არსებულ ყოველ 100 განერბილ დედაცხვარზე და შიმაქუს შეინარჩენეს ასხლეტამდე სულ ცოტა 105 ბატკანი;

ერთწლიანი მოზარდი ნახევრადმქისმატყლიანები ჯიშებისა და მათი მეტისების მატყლის საშუალო ნაპარსი სულ ცოტა 2,6 კილოგრამი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ აგრეთვე მეცხვარეობის იმ ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მიაღწიეს ამ დადგენილებით დაწესებული პროდუქტიულობის ერთ-ერთი მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებას: მატყლის ნაპარსისა — 15 პროცენტით, ბატკნების გამოზრდისა — 10 პროცენტით და მაყდაკის გამოსავლიანობისა (როცა მოზარდეულის გამოზრდის გეგმა შესრულებულია) 10 პროცენტით.

8. მეთხეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში წლის დამდეგისათვის არსებულ ყოველ 100 განერბილ დედათხასა და ჩეფიჩზე შეინარჩენეს ასხლეტამდე სულ ცოტა:

მერძეული ჯიშებისა — 120 თიკანი

ანგორის ჯიშისა — 100 „

ანგორის ჯიშის მტლისებისა — 110 „

და მიიღეს საშუალოდ 1948 და 1949 წლებში თითო თხაზე არანაკლებ:

ანგორული თხებისაგან მატყლი — 2,5 კილოგრამი

ანგორული თხების მეტისებისაგან მატყლი 1,0 კილოგრამი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეთხეობის ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში თითო თხაზე მიიღეს საშუალოდ წლიური ნაწველი არანაკლებ 200 ლიტრისა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მხოლოდ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს, რომლებსაც ჰყავთ ბისაგან — 0,9 ტონა ღორის ხორცი ცოცხალი წონით წლის დამდეგს არსებულ ცხრათვისაზე უხნეს თვითეულ დედაღორზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ იმ პირობით, თუ მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში არის არანაკლებ 40 დედაღორისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სასოფლო მეურნეობებში არანაკლებ 10 დედაღორისა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ სანაშენო საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანაშენო ფერმებს, რომლებსაც ძირითად ჯიგში ჰყავთ სახელმწიფო სანაშენო წიგნში ჩაწერილი სულ ცოტა 50 პროცენტი ღორებისა, და რომლებმაც სანაშენო მიზნებისათვის გაყიდეს კოლმეურნეობათა სანაშენო ფერმებში არსებული 9 თვისაზე უხნეს თვითეულ დედაღორზე სულ ცოტა 6 სანაშენო მოზარდეული, მათ შორის სულ ცოტა 4 სული ელიტა და პირველი კლასისა, და სანაშენო საბჭოთა მეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობების სანაშენო ფერმებიდან 9 თვისაზე უხნეს თვითეულ დედაღორზე სულ ცოტა 8 სული ჯიშიანი მოზარდეული, მათ შორის არანაკლებ 6 სული ელიტა და პირველი კლასისა.

10. მეფრინველეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმებს, საბჭოთა მეურნეობების ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს მოზარდეული ფრინველის გამოზრდის გეგმა და საშუალოდ 1948 და 1949 წლებში შემდეგ მაჩვენებლებს მიაღწიეს:

	კოლმეურნეობების მეფრინველეულობის ფერმები	საბჭოთა მეურნეობების მეფრინველეულობის ფერმები
რომლებმაც ფერმაში საშუალოდ კვერცხის მდებელ თითო ფრინველზე მიიღეს სულ ცოტა:		
ქათმებისაგან (როცა საკოლმეურნეო ფერმას ჰყავს სულ ცოტა კვერცს მდებელი 200 ქათამი და საბჭოთა მეურნეობის ფერმას 500 ქათამი):		
კვერცის მდებელი ჯიშის ქათმებისაგან	135 კვერცხი	165 კვერცხი
სხვა ჯიშებისა და ადგილობრივი ქათმებისაგან . . .	120 „	140 „
იხვებისაგან (როცა კოლმეურნეობაში ჰყავთ არანაკლებ 50 იხვისა და საბჭოთა მეურნეობაში არანაკლებ 200 იხვისა):		
კვერცის მდებელი ჯიშის იხვისაგან	120 „	135 „
საერთო სარგებლობის ჯიშებისაგან	90 „	100 „
სახორცე ჯიშისა და ადგილობრივი იხვებისაგან . .	70 „	85 „
ინდაურებისაგან (როცა კოლმეურნეობას ჰყავს არანაკლებ 50 ინდაურისა და საბჭოთა მეურნეობას არანაკლებ 100 ინდაურისა):		
ბრინჯაოს ფერი	60 „	65 „
ადგილობრივი ინდაურებისაგან	40 „	50 „
ბატებისაგან (როცა კოლმეურნეობაში არის არანაკლებ 30 დედალი ბატისა და საბჭოთა მეურნეობაში არანაკლებ 50 ბატისა):		
სანაშენე ბატი თვითეული დედალი ბატისაგან . . .	7 ფრთა	8 ფრთა

	საინკუბატორო მეფრინველეულობის სადგურებსა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინკუბატორიუმებში	საბჭოთა მეურნეობების ინკუბატორიუმები
საინკუბატორო მეფრინველეულობის სადგურებსა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინკუბატორიუმებმა, რომლებმაც შეასრულეს ფრინველის მოზარდეულის ინკუბაციისა და გაყიდვის გეგმა და საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მიიღეს გამოსავალი ჩაწყობილ კვერცხზე არა ნაკლებ		
წიწილა ქათმისა	75%	80%
ბუმბული ინდაურისა	70%	75%
ბუკი ინდაურისა	70%	75%

11. პირუტყვისა და ფრინველის გასუქება

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს ერთ-ერთი შემდეგი მაჩვენებლის მიხედვით:

1. საკოლმეურნეო ფერმებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა ისე, რომ ჩააბარეს სულ ცოტა 10 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი ან 100 სული ცხვარი, აქედან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი საშუალოზე მეტი სიმსუქნისა და მსუქანი შეწირვების სულ ცოტა 60 პროცენტი და ცხვარი სულ ცოტა 70 პროცენტი.

2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს:

ა) რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 1948-1949 წლების გეგმა ისე, რომ 20 თვემდე ასაკის დაკოდილი მოზვრების საშუალო ცოცხალი წონა 260 კილოგრამზე ნაკლები არ ყოფილა, 24 თვემდე ასაკისა — 330 კილოგრამზე ნაკლები არ ყოფილა, ამასთან კოლმეურნეობის ფერმამ ჩააბარა სულ ცოტა 10 სული, ხოლო საბჭოთა მეურნეობამ სულ ცოტა 80 სული სახორციე პირუტყვი.

ბ) რომლებმაც შეასრულეს ხორცის ჩაბარების 1948 და 1949 წლების გეგმები ცოცხალი წონის ღორების ჩაბარების გზით, როცა ერთი სული გასუქებული მოზარდეული იწონიდა არანაკლებ 80 კილოგრამს, ერთი სული მოზრდილი ღორი კი არანაკლებ 150 კილოგრამს;

გ) ღორის გასასუქებელ საბჭოთა მეურნეობებს და გასასუქებელ პუნქტებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში გასუქების დროს ღორების საშუალო თვიური ნამატი მიიღეს სულ ცოტა 15 კილოგრამი სულზე და ღორების საერთო ნამატისა და საბჭოთა მეურნეობისთვის ჩაბარებისა გეგმა შეასრულეს დაწესებული კონდიციის მიხედვით;

დ) რომლებმაც შეასრულეს ხორცის ჩაბარების 1948 და 1949 წლების გეგმები, გეგმის ანგარიშში გასუქებული ფერფლის ჩაბარების გზით წელიწადში ჩააბარეს სულ ცოტა 150 ფრთა ფრინველი კარგად გასუქებული, ხარისხის მიხედვით სულ ცოტა 40 პროცენტი ხორცი პირველი და უმაღლესი ხარისხისა, როცა თვითეული მოზარდი ქათმის საშუალო ჩასაბარებელი წონა 0,8 კილოგრამზე ნაკლები არ იყო, მოზრდილი ქათმისა კი 1,2 კილოგრამზე ნაკლები არ იყო; იხვისა — 1,5 კილოგრამზე ნაკლები, ბატის — 5 კილოგრამზე ნაკლები და ინდაურის — 3,5 კილოგრამზე ნაკლები არ იყო;

ე) გასასუქებელ პუნქტებს, რომლებმაც 1948-1949 წლებში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ცოცხალი წონის მატების ჩაბარების გეგმები, ამასთან ჩაბარეს სულ ცოტა 350 სული გასუქებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ყოველ 100 გამასუქებელ ადგილზე წელიწადში ისე, რომ საშუალო მატება თითო სულზე იყო არანაკლებ 60 კილოგრამისა გასუქების პერიოდში, და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვთ მსუქანი, და საშუალოზე მეტი სიმსუქნის პირუტყვი ჩაბარებული პირუტყვის საერთო რაოდენობის სულ ცოტა 75 პროცენტი.

3. მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში შეასრულეს ხორცის ჩაბარების გეგმა კარგი ხარისხის ფრინველით, სულ ცოტა 60 პროცენტი ხორცი ჩაბარეს პირველი და უმაღლესი ხარისხისა ისე, რომ თითო ფრთა მოზარდი ქათმის საშუალო ცოცხალი წონა არ იყო 0,9 კილოგრამზე ნაკლები, მოზრდილი ქათმისა—1,2 კილოგრამზე, კვერცხისმდებელი ჯიშის იხვისა — 1,6 კილოგრამზე, პეკინის იხვისა — 1,9 კილოგრამზე, ბატისა — 5 კილოგრამზე და ინდაურისა 4 კილოგრამზე ნაკლები.

12. მეკურდღლეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ:

კოლმეურნეობების მეკურდღლეობის ფერმებს, რომელთაც ჰყავდათ სულ ცოტა 35 სული დედაკურდღელი და რომლებმაც 1948 და 1949 წლებში მიაღწიეს წლის დამდეგს არსებულ თვითეულ დედაკურდღელზე სულ ცოტა 15 ბაჭიის გამოზრდას, ამაში არ შედის მოზარდეულისაგან მიღებული ნამატი, ხოლო ანგორის კურდღლებისაგან საშუალოდ თვითეულ დედაკურდღელსა და ნამატზე მიიღეს სულ ცოტა 500 გრამი ბეწვი.

13. მეფუტკრეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც საშუალოდ 1948 და 1949 წლებში მიიღეს თითო გამოზამთრებულ ფუტკრის ოჯახზე შემდეგი რაოდენობის თაფლი და ცვილი (კილოგრამობით) ისე, რომ სავსებით შეინარჩუნეს ფუტკარი ზამთარში, ამასთან სრულიად უზრუნველყოფილი იყო ფუტკრის ოჯახები ზამთარში კეთილხარისხოვანი საკვები თაფლის მარაგით ფუტკრის ოჯახზე 18—22 კილოგრამის ოდენობით: და სულ მცირე 5 კილოგრამი სადაზღვევო ფონდით:

	თაფლი არანაკლებ	ცვილი არანაკლებ	ფუტკრის ოჯახთა ნამატის პროცენტი
როცა ფუტკრის არანაკლებ 40 ოჯახია	50.0	0.8	40

14. ნადირობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ:

კოლმეურნეობებს, რომლებსაც ჰყავდათ არანაკლებ ათი მონადირისა, სარეწაო არტელებს, რომლებიც ბეწვეულ ბრიგადული მეთოდებით აგროვებენ და სუფეთესო მიღწევები აქვთ ამ სანადირო სარეწაოს და მონადირეთა საზოგადოების სამეურნეო საწარმოო და ყოფაცხოვრებით ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებმაც დაადგინეს და დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარეს საშუალოდ 1948 და 1949 წლებში სულ ცოტა შემდეგი თანხის ბეწვეული:

საშუალოდ 1 მონადირეზე (მანეთობით)	
1.500	

15. სანადირო და სასამსახურო მეძაღლეობა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ ძაღლსაშენებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასამსახურო ძაღლების საჯიშე ბუდეებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში საშუალოდ ძაღლსაშენის ყოველ 10 ძუ ძაღლზე გამოზარდეს 50, კოლმეურნეობის საჯიშე ბუდეზე — 35 ნორმალურად განვითარებული ლეკვი ისე, რომ შესრულებულ იქნას ძირითადი ჯოგის ზრდის და პროდუქციის ხარისხის საგეგმო მაჩვენებლები.

	მენადირეობის საბჭოთა მეურნეობებში, მენადირეობის საბჭოთა მეურნეობების, კოოპერაციული მეურნეობებისა და სხვა უწყებათა მეურნეობების ფერმებში	კოლმეურნეობების მენადირეობის ფერმებში
შავი მოვერცხლისფრო მელა . . .	33	30
ნუტრია	40	40

IV. მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შესარჩევად

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ იმ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომელთაც 1948 და 1949 წლებში:

ა) იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ უზრუნველყვეს მარცვლეული კულტურებისა და მთავარი ტექნიკური კულტურის (ბამბა, ჭაჩხალი და სხვ.) მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულება;

ბ) მანქანების კარგად გამოყენებისა და მოვლისას შეასრულეს ძირითადი სახის სატრაქტორო სამუშაოების: მზრალად ხვნის, ანეულის მოხვნა-დამუშავების, კომბაინით მოსავლის აღება, საგაზაფხულო ხვნის, თესვისწინა კულტივაციის, საგაზაფხულო თესვის სათოხნი კულტურების კულტივაციის, მოსავლის აღების, სამეძოვრომო თესვის და ტყის გაშენების გეგმა კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებით დაწესებულ ვადებში, ამასთან 1949 წლის აგვისტისა და მზრალად ხვნა შესრულებულ იქნა წინამხვნელიანი გუთნებით;

გ) უზრუნველყვეს ნატურსაზღაურის ჩაბარების შესრულება არანაკლებ იმისა, რაც დაწესებული იყო საწარმოო-საფინანსო გეგმით და არ გადაამტეს სატრაქტორო სამუშაოთა საგეგმო თვითღირებულებას.

V. მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად ფალთა მეურნეობაში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ:

1. სარწყავი სისტემებისა და არხების სამმართველოებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში:

უზრუნველყვეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, დამტკიცებული გეგმების შესაბამისად და, გარდა ამისა,

მიაღწიეს სისტემის მარგი ქმედების სულ ცოტა 0,55 კოეფიციენტს;

შეასრულეს არხებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაწმენდისა და რემონტის გეგმა და შრომის ნაყოფიერება გაადიდეს სულ ცოტა 4 პროცენტით თვითეული წლისათვის გამომუშავების დაწესებულ ნორმებთან შედარებით;

სამუშაოთა თვითღირებულება შეამცირეს სულ ცოტა 5 პროცენტით სანაზღაურებლებასთან შედარებით.

2. ამოსაშრობ სისტემათა სამმართველოებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში:

დაჭაობიანებული მიწების ამოსაშრობად თავიანთი მუშობით უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო ათვისება გეგმით გათვალისწინებული მელიორაციაქმნილი მიწის ფართობებისა და, გარდა ამისა,

შეასრულეს არხებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაწმენდისა და რემონტის გეგმა;

შეამცირეს სამუშაოს თვითღირებულება სულ ცოტა 5 პროცენტით სანაზღაურებლებასთან შედარებით.

3. წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამმართველოებსა და კანტორებს, საექსკავატორო სადგურებს, საექსკავატორო სადგურების განყოფილებებსა და უბნებს წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დარგში, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში მიაღწიეს:

ციცხვის ერთ კუბმეტრ ტევადობაზე ექსკავატორებით სულ ცოტა 120.000 კუბური მეტრი გრუნტის წლიურ გამომუშავებას, ხოლო მიწასასრუტ დანადგარებსა და მისაბმელ მიწისასთხრელ მანქანებზე გამომუშავების წლიური ნორმების სულ ცოტა 10 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას თვითეულ იარაღზე, ამასთან სამუშაოთა თვითღირებულება შემცირებულ იქნა სულ ცოტა 5 პროცენტით და დაზოგილ იქნა საწვავი არანაკლებ 7 პროცენტისა;

მშენებლობაზე მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდებას სულ ცოტა 15 პროცენტით.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტისა

1950 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობისა და მათი შერჩევის მაჩვენებლების შესახებ

(გაგრძელება)

VI. მ ა ჩ ვ ე ნ ებ ლ ებ ი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შესარჩევად

1. სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადიერებისა და ტრაქტორისტებისათვის

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მიეცეთ სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადიერებსა და ტრაქტორისტებს, რომლებმაც 1948 და 1949 წლებში:

მიიღწიეს საშუალო საგეგმო მოსავლიანობის გადაჭარბებით შესრულებას კოლმეურნეობების იმ ნაკვეთებში, რომელსაც ბრიგადა მომსახურებას უწევს;

გადაჭარბებით შეასრულეს საგეგმო დავალებანი დაწესებული სახის სამუშაოებში, ამასთან სამუშაო შესრულებულ იქნა მაღალი ხარისხით და კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში;

არ გადაამტეს საწვავის ხარჯვის დაწესებულ საგეგმო ნორმებს, სისტემატურად ასრულებდნენ გამომუშავების ცვლის ნორმებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ძირითად პერიოდებში (საგაზაფხულო თესვა, ანეულის ხვნა და დამუშავება, მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა), ამასთან კარგად უვლიდნენ მანქანებს და უზრუნველჰყვეს შემდეგი გამომუშავება:

ა) მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადიერებმა (ერთ 15-ძალიან ტრაქტორზე) — 550 ჰექტარი.

ბ) მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებმა, რომლებმაც წლის განმავლობაში თავიანთი ცვლების დროს გამოიმუშავეს სულ ცოტა:

ჰექტარობით

